აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილება სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვის პროცედურის დაწყების შესახებ

ოქმი 7

17 მაისი 2022წელი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტების დამტკიცების შესახებ (09-01-08/26, 11.05.2022)

დასახელება

ავტორი	ინიციატორი
აჭარის ავტნომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ტიტე არაშიძე, დავით ბაციკაძე, მარინე გვიანიძე, ლაშა სირაბიძე, ფრიდონ ფუტკარაძე	აჭარის ავტნომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები: დავით გაბაიძე, ტიტე არაშიძე, დავით ბაციკაძე, მარინე გვიანიძე, ლაშა სირაბიძე, ფრიდონ ფუტკარაძე

საკონსტიტუციო, იურიდიულ და საპროცედურო საკითხთა კომიტეტი

წამყვანი კომიტეტი

უმაღლესი საბჭოსთვის წარდგენის თარიღი	კომიტეტის სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი	სხდომაზე განხილვის სავარაუდო თარიღი
11.05.2022 წელი	წამყვანი კომიტეტი: 07.06.2022 წ. სხვა კომიტეტები: 01.06.2022 წ.	საგაზაფხულო სესია

კომიტეტები, რომელთა დასკვნები სავალდებულოა

უმაღლესი საბჭოს ბიურო ადგენს:
უმაღლესი საბჭოს კომიტეტებსა და ფრაქციებში დაიწყოს სამართლებრივი აქტის პროექტის განხილვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დავით გაბაიძე

საქართველო

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს წევრი

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლ. ასათიანის ქ. №37

საორგანიზაციო და საქმისწარმოების
დეპარტამენტის უფროსს
ბატონ **გიორგი ბერიძეს**

ბატონო გიორგი,

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 84-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 115-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოგიდგენთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტს - „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“.

გთხოვთ, დადგენილების პროექტს მისცეთ შესაბამისი მსვლელობა.

დანართი: -14- ფურცელი

პატივისცემით,

11.05.2022
15 ფურცელი

დავით გაბაიძე

ტიტე არუშიძე

დავით ბაციკაძე

მარინე გვიანიძე

ლაშა სირაბიძე

ფრიდონ ფუტკარაძე

<u>პროექტი</u>

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს

დადგენილება

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო ადგენს:

მუხლი 1

დამტკიცდეს „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პირობები“ (დანართი №1) და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი“ (დანართი №2).

მუხლი 2

ამ დადგენილების დანართი №1-ის მე-4 მუხლით განსაზღვრული იმ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება, რომლის პროაქტიულად გამოქვეყნება ამ დადგენილების ამოქმედებამდე არ იყო სავალდებულო, ვრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებიდან შექმნილ საჯარო ინფორმაციაზე.

მუხლი 3

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 მარტის №99-უ.ს.გ.ს. დადგენილება - ,,საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 20.03.2014, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 020090000.31.056.016042).

მუხლი 4

ეს დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე დავით გაბაიძე

ბათუმი,
2022 წლის
№

დანართი №1

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პირობები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პირობები (შემდგომ – წესი) შემუშავებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად და განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში (შემდგომში - აპარატი) არსებული, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესს, პირობებს და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ჩამონათვალს.

2. ეს წესი ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციაზე, რომელიც ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით, პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა.

3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს აპარატს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან.

მუხლი 2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

1. საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს (შემდგომში - უმაღლესი საბჭო) ვებგვერდზე: www.sca.ge (შემდგომში – ვებგვერდზე).

2. აპარატი უზრუნველყოფს პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის პერიოდულ განახლებას ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ვადებში. პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი.

3. საჯარო ინფორმაცია ვებგვერდებზე იმგვარად უნდა განთავსდეს, რომ შესაძლებელი იყოს ინფორმაციის დათვალიერება, ჩამოტვირთვა, კოპირება და ბეჭდვა მისი შეცვლის, დაზიანებისა და დაკარგვის გარეშე.

4. პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ღიაა და თანაბრად ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. დაუშვებელია პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მიღებისათვის საფასურის დადგენა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

5. აპარატს უფლება აქვს, ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციასთან ერთად, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

მუხლი 3. საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა

1. უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს.

2. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებას ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების პერიოდულობის დაცვით.

3. საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ინფორმაციის სათანადოდ მიწოდების ფორმაზე, დროულობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული/ხელმძღვანელი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ვებგვერდზე გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის მიწოდებას ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული პერიოდულობის გათვალისწინებით და დადგენილ ვადებში.

მუხლი 4. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაცია

ვებგვერდზე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ საჯარო ინფორმაციას განეკუთვნება:

ა) უმაღლესი საბჭოსა და აპარატის სტრუქტურა და ფუნქციები (განახლდება ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ბ) უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული სამართლებრივი აქტები:

ბ.ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია, კონსტიტუციური კანონი, კანონი, უმაღლესი საბჭოს რეგლამენტი;

ბ.ბ) უმაღლესი საბჭოს ნორმატიული დადგენილება, უმაღლესი საბჭოს დადგენილება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის დამტკიცების, საკადრო, დროებითი კომისიის შექმნის შესახებ;

ბ.გ) უმაღლესი საბჭოს რეზოლუცია,მიმართვა, განცხადება.

შენიშვნა: ამ მუხლის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია (ნორმატიული აქტები) განახლდება ნორმატიული აქტის საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს ვებგვერდზე (www..matsne.gov.ge) გამოქვეყნებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, ხოლო „ბ.ბ“ და „ბ.გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია (ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტები) ქვეყნდება მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა;

გ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის განკარგულება რიგგარეშე სესიის/სხდომის მოწვევის შესახებ (ქვეყნდება განკარგულების ხელმოწერისთანავე);

დ) უმაღლესი საბჭოს ბიუროს გადაწყვეტილებები უმაღლესი საბჭოს პლენარული (რიგგარეშე) სხდომის (სესიის) უმაღლესი საბჭოს იურიდიული მისამართის გარეთ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტში გამართვის, ფრაქციის რეგისტრაციის ან რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ (ქვეყნდება ბიუროს მიერ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 10 სამუშო დღისა);

ე) ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, უმაღლესი საბჭოს წევრების შესახებ: სახელი, გვარი, ფოტოსურათი, ბიოგრაფიული მონაცემები (განახლდება ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ვ) ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს ბიუროს, კომიტეტების, ფრაქციების, დროებითი კომისიების, ინტერფრაქციული ჯგუფის შემადგენლობის, უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი წევრების შესახებ (განახლდება ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ზ) ინფორმაცია:

ზ.ა) უმაღლესი საბჭოს რეგლამენტით გათვალისწინებული მუდმივმოქმედი სათათბირო საბჭოებისა და ხაზინადართა საბჭოს შემადგენლობის შესახებ, ასევე აღნიშნული საბჭოების

დებულებები, გარდა უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობისა და ეთიკის საბჭოების დებულებებისა (განახლდება ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ზ.ბ) ეთიკის საბჭოს შემადგენლობის შესახებ, უმაღლესი საბჭოს გენდერული თანასწორობისა და ეთიკის საბჭოების, ასევე უმაღლესი საბჭოს კომიტეტების დებულებები (ქვეყნდება დამტკიცებიდან (განახლდება ცვლილებიდან) არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

თ) უმაღლესი საბჭოს მისამართი და ელექტრონული ფოსტის მისამართი; აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტისა და მასმედიასა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ტელეფონის და ფაქსის ნომრები (განახლდება ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ი) უმაღლესი საბჭოს წევრების სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მისამართი და სამსახურებრივი ტელეფონის ნომერი (განახლდება ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

კ) მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით არჩეული უმაღლესი საბჭოს წევრების წარმომადგენლების სამსახურებრივი განთავსების ადგილის მისამართი, ელექტრონული ფოსტის მისამართი და ტელეფონის ნომერი (განახლდება ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ლ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის ბრძანებები უმაღლესი საბჭოს:

ლ.ა) საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ;

ლ.ბ) აპარატის დებულებისა და სტრუქტურის დამტკიცების შესახებ;

ლ.გ) უმაღლესი საბჭოს საქმისწარმოების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;

ლ.დ) აპარატის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ;

ლ.ე) აპარატში პრაქტიკის გავლის წესის დამტკიცების შესახებ;

ლ.ვ) აპარატის სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ;

ლ.ზ) აპარატში სტაჟირების გავლის წესის შესახებ;

ლ.თ) აპარატის საჯარო მოსამსახურეთა მიერ სამსახურის გავლის წესის შესახებ;

ლ.ი) ადმინისტრაციულ შენობაში უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესის შესახებ;

ლ.კ) ადმინისტრაციულ შენობაში პრესკონფერენციის გამართვისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების აკრედიტაციის წესის დამტკიცების შესახებ;

ლ.ლ) უმაღლესი საბჭოს ცალკეული წევრებისა და უმაღლესი საბჭოს დელეგაციების საზღვარგარეთ მივლინებაში წარგზავნის წესის შესახებ;

შენიშვნა: ამ მუხლის „ლ.ა"-„ლ.ლ" ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაცია (სამართლებრივი აქტები) ქვეყნდება (განახლდება) ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა;

მ) უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის ბრძანება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში დამხმარე ფუნქციების მქონე შრომითი ხელშეკრულებით დასაკავებელი პოზიციების ნუსხის განსაზღვრის შესახებ (ქვეყნდება (განახლდება) ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ნ) საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის (პირების) სახელი, გვარი, თანამდებობა, სამსახურებრივი ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონის და ფაქსის ნომრები (განახლდება ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ო) საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის შესახებ განცხადებების რეესტრი, რომელიც უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას: განცხადების ნომერი, განცხადების შემოსვლის თარიღი, ინფორმაციის მომთხოვნი ფიზიკური/იურიდიული პირი, განცხადების შინაარსი, განცხადების

სტატუსი, პასუხის გაცემის თარიღი, დოკუმენტის ნომერი (ქვეყნდება წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

პ) ინფორმაცია აპარატში დასაქმებულთა რაოდენობის შესახებ, მათ შორის, საჯარო მოსამსახურის სახეების მიხედვით, აგრეთვე გენდერულ ჭრილში: სახელი, გვარი, დაკავებული თანამდებობა სტრუქტურული ერთეულის მითითებით (განახლდება კვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჟ) ინფორმაცია აპარატში გამოცხადებული კონკურსის წესით შესავსები ვაკანტური თანამდებობების შესახებ (ქვეყნდება კონკურსის გამოცხადებიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა);

რ) უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, უმაღლესი საბჭოს აპარატის უფროსის სამართლებრივი აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ აპარატში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებელი კონკურსის ჩატარების საკითხებს (ქვეყნდება (განახლდება) ხელმოწერიდან არაუგვიანეს 1 სამუშაო დღისა);

ს) უმაღლეს საბჭოში შესული განცხადებების (მათ შორის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე და მე-40 მუხლების შესაბამისად შემოსული განცხადებების) და მათზე გაცემული პასუხების შესახებ ზოგადი სტატისტიკა (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ტ) ინფორმაცია დოკუმენტბრუნვისა და მოქალაქეთა მიღების შესახებ - (ქვეყნდება/განახლდება კვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

უ) ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების შესახებ (ქვეყნდება წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა და განახლდება ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ფ) ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული ქონების გასხვისებისა და სარგებლობაში გადაცემის შესახებ - მიმღების, გადაცემული ქონების ჩამონათვალის და საბალანსო ღირებულების მითითებით (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ქ) უმაღლესი საბჭოს ბალანსზე რიცხული ავტოსატრანსპორტო საშუალებების შესახებ შემდეგი ინფორმაცია:

ქ.ა) ავტოსატრანსპორტო საშუალების მოდელი, გამოშვების წელი, შესყიდვის ან სარგებლობაში გადმოცემის თარიღი, ფასი და ნარჩენი საბალანსო ღირებულება (ქვეყნდება წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, განახლდება ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა)

ქ.ბ.) ავტოსატრანსპორტო საშუალებების მიერ საწვავის მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების შესახებ (ჯამურად) (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ქ.გ.) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურებისათვის გაწეული ხარჯების შესახებ (ჯამურად) (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან

არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ღ) ინფორმაცია განხორციელებული სატელეფონო საუბრებისათვის (საერთაშორისო და ადგილობრივი ზარები) გაწეული ხარჯების შესახებ (ჯამურად) (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ყ) სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმა (ქვეყნდება საბიუჯეტო წლის არაუგვიანეს 31 იანვრისა, განახლების შემთხვევაში - განახლებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

შ) ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, მიმწოდებლის, შესყიდვის ობიექტისა და შესყიდვის საშუალების, ხელშეკრულების ღირებულებისა და გადარიცხული თანხების ოდენობების მითითებით (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჩ) ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის მიცემული თანამდებობრივი სარგოების, საკლასო დანამატებისა და ფულადი ჯილდოების შესახებ (ჯამურად) (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტალის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ც) ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს წევრთა და აპარატის თანამშრომელთა ოფიციალური და სამუშაო ვიზიტებისათვის გაწეული სამივლინებო ხარჯების შესახებ (ჯამურად) (ცალ-ცალკე – ქვეყნის შიგნით და ქვეყნის გარეთ განხორციელებული მივლინებებისათვის), მათ შორის, უმაღლესი საბჭოს წევრის, აპარატის თანამდებობის პირის სახელისა და გვარის, მივლინების თარიღის (პერიოდის), მივლინების ქვეყნის და ბიუჯეტიდან გაწეული ჯამური სამივლინებო ხარჯის მითითებით (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ძ) ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს დამტკიცებული ბიუჯეტის შესახებ, ბიუჯეტის მაჩვენებლების და საპროგნოზო პარამეტრების გრაფიკული გამოსახულებით (ქვეყნდება დამტკიცებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა); ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს ბიუჯეტის შესრულების შესახებ, ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით, ნაზარდი ჯამით, ბიუჯეტის შესრულების მაჩვენებლების და მისი კომპონენტების გრაფიკული გამოსახულებით (ქვეყნდება კვარტალურად, კვარტლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, აგრეთვე წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

წ) უმაღლესი საბჭოს კომიტეტების სამოქმედო გეგმები (ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჭ) ანგარიშებთან დაკავშირებული შემდეგი ინფორმაცია:

ჭ.ა) უმაღლესი საბჭოს კომიტეტების საქმიანობის წერილობითი ანგარიშები ყოველი წლის შედეგების მიხედვით (ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჭ.ბ) უმაღლესი საბჭოს წევრების ანგარიშები ყოველი წლის შედეგების მიხედვით (ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჭ.გ) უმაღლესი საბჭოს საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში (ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჭ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის კვარტალური ანგარიში (ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჭ.ე) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის წლიური ანგარიში (ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჭ.ვ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ანგარიში მთავრობის საქმიანობის შესახებ (ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჭ.ზ) საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭოს ანგარიში (ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჭ.თ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრის, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელის ან თანამდებობის პირის, უმაღლესი საბჭოს კომიტეტისათვის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 41-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ანგარიში (ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჭ.ი) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრის, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული თანამდებობის პირის, უმაღლესი საბჭოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოს ხელმძღვანელის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომაზე უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 129-ე მუხლის შესაბამისად წარდგენილი ანგარიში (ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ხ) სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ უმაღლეს საბჭოში წარდგენილი დასკვნები (ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჯ) უმაღლესი საბჭოსათვის საკანონმდებლო აქტის პროექტთან დაკავშირებით საჯარო დაწესებულებების მიერ წარდგენილი ან/და უმაღლესი საბჭოს კომიტეტების ან/და აპარატის შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მომზადებული დასკვნები და წინადადებები (ქვეყნდება წარდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, საკანონმდებლო აქტის პროექტის თანდართულ დოკუმენტებთან ერთად);

ჯ) ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული სამართლებრივი აქტების რაოდენობის შესახებ, აქტის სახეების მიხედვით (ქვეყნდება ყოველწლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჯ[1]) უმაღლესი საბჭოს წევრის კითხვა, კითხვაზე პასუხი (ქვეყნდება კითხვის გაგზავნიდან, პასუხის შემოსვლიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჯ[2]) ინფორმაცია უმაღლესი საბჭოს წევრთა მიერ უმაღლესი საბჭოს:

ჯ[2].ა) პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზებით გაცდენის შესახებ, უმაღლესი საბჭოს წევრის სახელისა და გვარის მითითებით (ქვეყნდება ყოველი სესიის ბოლოს, სესიის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშო დღისა);

ჯ[2].ბ) კომიტეტის სხდომების არასაპატიო მიზეზებით გაცდენის შესახებ, უმაღლესი საბჭოს წევრის სახელისა და გვარის მითითებით (ქვეყნდება ყოველი თვის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშო დღისა);

ჯ[3]) სტატისტიკური ინფორმაცია კვორუმის არარსებობის გამო გადადებული უმაღლესი საბჭოს:

ჯ[3].ა) პლენარული სხდომების რაოდენობის შესახებ (ქვეყნდება წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჯ[3].ბ) კომიტეტის სხდომების რაოდენობის შესახებ (ქვეყნდება წლიურად, წლის დასრულებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა);

ჯ[4]) ინფორმაცია აპარატის უფროსის, მისი მოადგილის, აპარატის სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელების შესახებ: სახელი, გვარი და სამსახურებრივი ტელეფონის ნომერი (განახლდება ცვლილებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა).

მუხლი 5. პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის მიწოდებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები

საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ისათვის საჯარო ინფორმაციის მომზადებასა და მიწოდებას უზრუნველყოფს:

ა) ამ წესის მე-4 მუხლის „ა“, „ე“, „ზ.ა“, „თ“, „ი“, „კ“, „ლ“, „მ“, „ნ“, „ო“, „პ“, „ჟ“, „რ“ და „ჰ^{4}“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის - იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი;

ბ) ამ წესის მე-4 მუხლის „ბ“, „გ“, „დ“, „ვ“, „ზ.ბ“, „ს“, „ტ“, „ჭ.ა“, „ჭ.ბ“, „ჭ.გ“, „ჭ.დ“, „ჭ.ე“, „ჭ.ვ“, „ჭ.ზ“, „ჭ.ი“, „ხ“, „ჯ“, „ჰ“, „ჰ^{1}“, „ჰ^{2}.ა“ და „ჰ^{3}.ა,, ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის - საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტი;

გ) ამ წესის მე-4 მუხლის „ფ“, „ქ“, „ყ“, „შ“ და „ძ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის - საფინანსო, შესყიდვებისა და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტი;

დ) ამ წესის მე-4 მუხლის „უ“, „ღ“, „ჩ“ და „ც“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის - ბუღალტერია;

ე) ამ წესის მე-4 მუხლის „წ“, „ჭ.თ“, „ჰ^{2}.ბ“ და „ჰ^{3}.ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის - კომიტეტების აპარატები.

დანართი №2

საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი

1. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი (შემდგომში - სტანდარტი) განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში (შემდგომში - აპარატი) არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესსა და პირობებს.

2. ყველას აქვს უფლება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით, აპარატის ელექტრონულ მისამართზე: contact@sca.ge

3. დაინტერესებული პირი საჯარო ინფორმაციას ელექტრონული ფორმით მოითხოვს მე-2 პუნქტში მითითებულ ერთ-ერთ ელექტრონულ მისამართზე წერილობითი განცხადების (შემდგომში – განცხადება) წარდგენის გზით.

4. განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

ა) იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი;

ბ) ფიზიკური პირის შემთხვევაში: განმცხადებლის სახელს, გვარს, პირად ნომერს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს და ელექტრონული ფოსტის მისამართს; იურიდიული პირის შემთხვევაში: საწარმოს/ორგანიზაციის დასახელებას, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს;

გ) მოთხოვნილი ინფორმაციის დასახელებას;

დ) განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

5. ამ სტანდარტის მე-4 პუნქტის დარღვევით განცხადების წარდგენის შემთხვევაში, განმცხადებელს მიეცემა გონივრული ვადა დაზუსტებისათვის. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის ინფორმაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

6. თუ განცხადება შემოსულია სამუშაო დღეს, სამუშაო საათების დასრულებამდე, განცხადებას მიღების დღესვე არეგისტრირებს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილება და რეგისტრაციაში გატარების დადასტურებას (რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის მითითებით) უგზავნის განმცხადებელს ტელეფონის ნომერზე, თუ ის მითითებულია განცხადებაში ან შესაბამისი ელექტრონული ფოსტის მისამართზე. არასამუშაო დღეს/საათებში შემოსული განცხადება რეგისტრირდება მომდევნო სამუშაო დღეს.

7. განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილება ამ განცხადებას გადასცემს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს.

8. საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემის ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო სამუშაო დღიდან.

9. საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით გაიცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით განსაზღვრულ ვადებში.

10. მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით.

11. თუ დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ელექტრონულად გაგზავნა შეუძლებელია მისი მოცულობიდან გამომდინარე, აპარატი, პირის თანხმობით,

უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას სხვა შესაძლო ფორმით, მათ შორის კომპაქტურ დისკზე ჩაწერით.

12. საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა და მისი გადახდის წესი განისაზღვრება „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

13. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლით დადგენილი წესით.

14. საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი საჩივრდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

განმარტებითი ბარათი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტზე – „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის, პირობებისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“

ა) დადგენილების პროექტის მიღების მიზეზი:

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 37-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, საჯარო დაწესებულება ვალდებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით უზრუნველყოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცება.

კანონის აღნიშნული მოთხოვნიდან გამომდინარე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი დამტკიცებული აქვს ჯერ კიდევ 2014 წელს, იმ დროისათვის მოქმედი უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის შესაბამისად.

გამომდინარე იქედან, რომ საკანონმდებლო აქტი, რომელიც მოქმედი დადგენილების მიღების ერთ-ერთ სამართლებრივ საფუძვლად იყო მითითებული უკვე ძალადაკარგულია (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2005 წლის 24 მარტის) რეგლამენტი), ასევე იმის გათვალისწინებით, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ღია მმართველობის 2020-2021 სამოქმედო გეგმით აღებულია ვალდებულება (№11), რომლის თანახმადაც, უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე უნდა მოხდეს დოკუმენტების ადვილად დასამუშავებელ ფორმატში განთავსება, ასევე პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის ნუსხის გაზრდა, მიზანშეწონილია მიღებული იქნეს ახალი დადგენილება, რომელიც ახლებურად დაარეგულირებს საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესსა და პირობებს და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტს.

აღსანიშნავია, რომ თუკი დღეს მოქმედი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესის თანახმად, პროაქტიული წესით სავალდებულოდ გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ნუსხა შეადგენს 29-ს, წარმოდგენილი დადგენილების პროექტით აღნიშნული ნუსხა 61-მდე იზრდება.

ბ) დადგენილების პროექტის ძირითადი არსი:

დადგენილების პროექტი შედგება 4 მუხლისაგან.

დადგენილების პროექტის მუხლი 1-ით მტკიცდება „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პირობები“ (დანართი №1) და „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი“ (დანართი №2).

დადგენილების პროექტის მეორე მუხლის თანახმად, ამ დადგენილების დანართი №1-ის მე-4 მუხლით განსაზღვრული იმ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება, რომლის პროაქტიულად გამოქვეყნება ამ დადგენილების ამოქმედებამდე არ იყო სავალდებულო, ვრცელდება ამ დადგენილების ამოქმედებიდან შექმნილ საჯარო ინფორმაციაზე.

დადგენილების პროექტის მესამე მუხლის თანახმად, ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად ცხადდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2014 წლის 20 მარტის №99-უ.ს.გ.ს. დადგენილება - ,,საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესისა და საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

ვებგვერდი, (www. matsne.gov.ge), 20.03.2014, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 020090000.31.056.016042).

დადგენილების პროექტის მეოთხე მუხლის თანახმად დადგენილება ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

დადგენილების პროექტის პირველი მუხლით დასამტკიცებელი „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პირობები“ (დანართი №1) შედგება 5 მუხლისაგან:

პირველ მუხლში - „ზოგადი დებულებები“. აღნიშნული მუხლით გათვალისწინებულია, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესი და პირობები შემუშავებულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად და განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში არსებული, საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების წესს და პროაქტიულად გამოსაქვეყნებელი საჯარო ინფორმაციის ჩამონათვალს. აღნიშნული წესი ვრცელდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 28-ე მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ საჯარო ინფორმაციაზე, რომელიც ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით, პერსონალურ მონაცემებს, სახელმწიფო ან კომერციულ საიდუმლოებას მიკუთვნებული ინფორმაციისა. ამავე მუხლით გათვალისწინებულია, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება არ ათავისუფლებს აპარატს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით იმავე ან სხვა საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულებისაგან.

მეორე მუხლის - „საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება“ თანახმად, საჯარო ინფორმაცია პროაქტიულად ქვეყნდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ვებგვერდზე: www.sca.ge (შემდგომში – ვებგვერდებზე). უმაღლესი საბჭოს აპარატი უზრუნველყოფს პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის პერიოდულ განახლებას წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ვადებში. პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის განახლებისას უნდა მიეთითოს განახლების თარიღი. საჯარო ინფორმაცია ვებგვერდებზე იმგვარად უნდა განთავსდეს, რომ შესაძლებელი იყოს ინფორმაციის დათვალიერება, ჩამოტვირთვა, კოპირება და ბეჭდვა მისი შეცვლის, დაზიანებისა და დაკარგვის გარეშე. პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაცია ღიაა და თანაბრად ხელმისაწვდომია ნებისმიერი პირისათვის. დაუშვებელია პროაქტიულად გამოქვეყნებული საჯარო ინფორმაციის მიღებისათვის საფასურის დადგენა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა. უმაღლესი საბჭოს აპარატს უფლება აქვს, წესის მე-4 მუხლით განსაზღვრულ ინფორმაციასთან ერთად, საკუთარი საქმიანობისა და კომპეტენციის ფარგლებში დამატებით პროაქტიულად გამოაქვეყნოს საზოგადოებრივი ინტერესის შემცველი სხვა საჯარო ინფორმაცია.

მესამე მუხლით - „საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა“ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე განსაზღვრავს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე და პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელ პირს/პირებს. ამავე მუხლით, საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან მიღებული ინფორმაციის ვებგვერდზე განთავსებას ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების პერიოდულობის დაცვით. აქვე გათვალისწინებულია, რომ საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირისათვის ინფორმაციის სათანადოდ მიწოდების ფორმაზე, დროულობასა და უტყუარობაზე პასუხისმგებელია აპარატის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული/ხელმძღვანელი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოფს ვებგვერდზე გამოსაქვეყნებელი

ინფორმაციის მიწოდებას ამ წესის მე-4 მუხლით განსაზღვრული პერიოდულობის გათვალისწინებით და დადგენილ ვადებში.

მეოთხე მუხლი ეთმობა პროაქტიულად გამოსაქვეყნებელ საჯარო ინფორმაციას, სადაც მოცემულია ნუსხა თუ რა სახის ინფორმაცია უნდა გამოქვეყნდეს პროაქტიულად.

მეხუთე მუხლით განსაზღვრულია უმაღლესი საბჭოს აპარატის სტრუქტურული ერთეულები, რომლებმაც უნდა მოამზადონ და პროაქტიულად გამოსაქვეყნებლად შესაბამის პასუხისმგებელ პირ(ებ)ს უნდა მიაწოდონ წესის მე-4 მუხლით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია.

დადგენილების პროექტის პირველი მუხლის დასამტკიცებელი „საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი"-თ (დანართი №2) გათვალისწინებულია რომ:

- საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის სტანდარტი (შემდგომში - სტანდარტი) განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აპარატში არსებული საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით მოთხოვნის წესსა და პირობებს.

- ყველას აქვს უფლება, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით, აპარატის ელექტრონულ მისამართზე: contact@sca.ge ან chaerte.sca.ge.

დაინტერესებული პირი საჯარო ინფორმაციას ელექტრონული ფორმით მოითხოვს მე-2 პუნქტში მითითებულ ერთ-ერთ ელექტრონულ მისამართზე წერილობითი განცხადების (შემდგომში – განცხადება) წარდგენის გზით.

- განცხადება უნდა შეიცავდეს შემდეგ ინფორმაციას - იმ ადმინისტრაციული ორგანოს დასახელებას, რომელსაც მიმართავს განმცხადებელი; ფიზიკური პირის შემთხვევაში: განმცხადებლის სახელს, გვარს, პირად ნომერს, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს და ელექტრონული ფოსტის მისამართს; იურიდიული პირის შემთხვევაში: საწარმოს/ორგანიზაციის დასახელებას, მისამართს, საკონტაქტო ტელეფონის ნომერს, ელექტრონული ფოსტის მისამართს; მოთხოვნილი ინფორმაციის დასახელებას; განცხადებაზე დართული საბუთების ნუსხას, მათი არსებობის შემთხვევაში.

- ამ სტანდარტის მე-4 პუნქტის დარღვევით განცხადების წარდგენის შემთხვევაში, განმცხადებელს მიეცემა გონივრული ვადა დაზუსტებისათვის. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარადგენს შესაბამის ინფორმაციას, განცხადება დარჩება განუხილველი.

- თუ განცხადება შემოსულია სამუშაო დღეს, სამუშაო საათების დასრულებამდე, განცხადებას მიღების დღესვე არეგისტრირებს აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილება და რეგისტრაციაში გატარების დადასტურებას (რეგისტრაციის თარიღისა და ნომრის მითითებით) უგზავნის განმცხადებელს ტელეფონის ნომერზე, თუ ის მითითებულია განცხადებაში ან შესაბამისი ელექტრონული ფოსტის მისამართზე. არასამუშაო დღეს/საათებში შემოსული განცხადება რეგისტრირდება მომდევნო სამუშაო დღეს.

- განცხადების რეგისტრაციის შემდეგ, აპარატის საორგანიზაციო და საქმისწარმოების დეპარტამენტის საქმისწარმოების განყოფილება ამ განცხადებას გადასცემს საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირს.

- საჯარო ინფორმაციის ელექტრონული ფორმით გაცემის ვადის ათვლა იწყება განცხადების რეგისტრაციის მომდევნო სამუშაო დღიდან.

- საჯარო ინფორმაცია ელექტრონული ფორმით გაიცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-40 მუხლით განსაზღვრულ ვადებში.

- მოთხოვნილი საჯარო ინფორმაცია გაიცემა დაინტერესებული პირის მიერ მითითებულ ელექტრონული ფოსტის მისამართზე გაგზავნით.

- თუ დაინტერესებული პირის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის ელექტრონულად გაგზავნა შეუძლებელია მისი მოცულობიდან გამომდინარე, აპარატი, პირის თანხმობით, უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციის გაცემას სხვა შესაძლო ფორმით, მათ შორის კომპაქტურ დისკზე ჩაწერით.

- საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის ოდენობა და მისი გადახდის წესი განისაზღვრება „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმა ხდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 41-ე მუხლით დადგენილი წესით.

- საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარი საჩივრდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილი წესით.

გ) იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარდგენილი დადგენილების პროექტის მიღება:

დადგენილების პროექტი არ საჭიროებს საფინანსო-ეკონომიკურ გაანგარიშებას.

დ) დადგენილების პროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, ტიტე არაშიძე,დავით ბაციკაძე, მარინე გვიანიძე, ლაშა სირაბიძე, ფრიდონ ფუტკარაძე.

ე) დადგენილების პროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრები - დავით გაბაიძე, ტიტე არაშიძე,დავით ბაციკაძე, მარინე გვიანიძე, ლაშა სირაბიძე, ფრიდონ ფუტკარაძე.